

ვაჭრობიდან აზნაურობამდე

ირანის შაჰის სულეიმან I-ის მიერ საქართველოზე გატარებული რეპრესიების გამო სომეხ აზნაურ დავით ამბროსიანს ქვეყნიდან გაქცევა მოუწია. იგი სპარსეთში გადაიხვეწა, მოერგო იქაურ გარემოს და წარმატებული ვაჭარი გახდა. სპარსეთში წარმატებული ცხოვრების მიუხედავად, იგი მუდამ ნატრობდა საქართველოში დაბრუნებას, თუმცა ათვისებობიერებდა, რომ ამას იგი ვეღარასდროს შეძლებდა.

ვაჟიშვილის გაჩენამ დავითს იმედი მისცა, რომ ამბროსიანთა გვარი კვლავ დაუბრუნდება საქართველოს. დავითმა ოჰანეზა აღზარდა როგორც ერთი ჩვეულებრივი ვაჭარი და მისი წარსული საიდუმლოდ რჩებოდა ოჰანეზასთვის.

გავიდა ხანი, დავითი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვისებდა, ოჰანეზა დღედაღამ შრომობდა, თუმცა მის შრომას დიდი ფული არ მოჰქონდა. დავითმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო ოჰანეზასთვის გაემხილა სიმართლე, ფარდა აეხადა იმ საიდუმლოსთვის, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ინახავდა. ოჰანეზა უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი იყო: საშუალო სიმაღლის, შავთვალა და კანის მუქი შეფერილობით, სახეზე და სხეულზე მრავალი ნაიარევი უმალ მიგახვედრებოდა, რომ ქუჩის ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. სპარსულ ტანისამოსში გამოწყობილს, ვერაფერს შეატყობდით სომეხისა, ტიპიური სპარსელი ახალგაზრდა.

შოკისმომგვრელი სიმართლის გაგებამ ძალიან გაახარა და ამავედროულად გააბრაზა ოჰანეზა. მას არ ესმოდა, თუ რატომ არ უმხელდა მამამისი ამოდენ მნიშვნელოვან საიდუმლოს. თუმცა მომაკვდავ მამას, რომელიც ძლივსდა საუბრობდა, ვერაფრით დაუწყო ჩხუბი. იმავე ღამეს, 70 წლის ასაკში, დავით ამბროსიანი გარდაიცვალა.

ოჰანეზას ისპაჰანში ერთი გოგო უყვარდა, სახელად აზამი. ოჰანეზასთვის უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა სატრფოსთან განშორება, თუმცა იგი ხვდებოდა, რომ ერთადერთი გამოსავალი მის გარშემო დატრიალებული სიღარიბისგან საქართველოში გამგზავრება და კანონიერი წოდების დაბრუნება იყო.

საქართველოში გზის გაკვლევა სირთულეს არ წარმოადგენდა ოჰანეზასთვის, რადგან მან ქართული ენა იცოდა რაღა თქმა უნდა მამამისის დამსახურებით. სირთულეს წარმოადგენდა მარშრუტი, რომელიც ოჰანეზას ისპაჰანიდან საქართველომდე უნდა გაეკვლო.

ისპაჰანიდან თბილისში გამავალი ქარავანი არ არსებობდა. თბილისთან უახლოესი ქალაქი, სადაც ქარავანი მიდილობდა იყო ზანჯანი, საიდანაც თბილისამდე სხვა ქარავნით უნდა გადასულიყავი. ოჰანეზას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ფეხით თბილისამდე ჩასვლა თვეებს მოითხოვდა, ამიტომ გზას ქარავნით დაადგა.

პირველმა სამმა დღემ წყნარად ჩაიარა, თუ არ გავითვალისწინებთ გაუსაძლის სიცხესდა წყლის მიზეზურულ რაოდენობას.

მეოთხე დღეს, ჰორიზონტზე ხუთი შავიკაბახვეული მხედარი გამოჩნდა. ქარავნის მგზავრებმა ვერაფერი შეამჩნიეს, რადგან თითქმის ყველას ღრმად ეძინა, გარდა ოჰანეზასი. ცხენოსნების მოახლოებაზე კარგს არაფერს ჰკარნახობდა ოჰანეზას გული, თუმცა იგი უძღური იყო ამ ვითარებაში, რადგან თუ ისინი გადაძარჩვათ მოდიოდნენ, მგზავრებით დატვირთული ქარავნით მათი გასწრება შეუძლებელი იყო, ამიტომ ბედს შეგუებული უცდიდა მოვლენების განვითარებას.

მრისხანედ მოვარდნენ მხედრები, იშიშვლეს სკიმიტარები(სპარსული ხმლები). ერთ-ერთმა დამბაჩა დაუმიზნა მექარავნეს და სიკვდილით დაემუქრა. მოითხოვა ოქრო-ვერცხლი, რომელსაც ქარავანში ინახავდა. მექარავნემ უთხრა, რომ მათ შეცდომა დაუშვეს და რომ აქ არანაირი საუნჯე არ არის. ყაჩაღები გაურჩდნენ, მექარავნე სასწიკად განგმირეს და დაიწყეს ქარავნის ჩხრეკა. ამ დროს, ოჰანეზამ გამოაღვიძა თანამგზავრები, ყველამ ხანჯალი იშიშვლა და როდესაც მხედრები მიუხალოვდნენ ფარდაგის ახდას, ერთბაშად ამოხტნენ და შეერკინენ ყაჩაღებს. გაიმართა

დაუნდობელი ბრძოლა. ოჰანუზა მოხერხებულად იცილებდა მტრის მოქმედებებს. მოკლა ერთი, მოკლა დამბაჩიანი, მაგრამ დანარჩენი სამიდან მხოლოდ ერთის მოკლა მოახერხეს თანამგზავრებმა. დარჩა ოჰანუზა, ისმაილი და ორი ყაჩაღი. ჩამოვარდა სულისშემძრავი სიჩუმე, ოთხივე აცნობიერებდა, რომ დიდი ალბათობით ეს სიცოცხლის ბოლო წუთები იყო. მრისხანე სახეები ერთმანეთს შეხვდა და ბრძოლა განახლდა. ოჰანუზამ ხანჯალი ესროლა მეტოქეს, გულმკერდის არეში დაჭრა, თვითონ ხმალი აიღო და განგმირა. ისმაილი პირველად დაამხო ყაჩაღმა და გულში მთელი ძალით ჩაასო ხმალი. ოჰანუზა პირველი მოკლული მხედრიკენ გადახტა, დამბაჩა აიღო და მეტოქეს ესროლა. თუმცა გულთან ახლოს მოარტყა, იგი მაინც გადარჩა, ძირს დაეცა, მრისხანებით მივარდა მასთან ოჰანუზა და ცივისსხლიანად მოკლა არაბი.

სისხლში ამოთხვრილ ოჰანუზას საშინელი გრძნობა დაეუფლა, მან ახლახანს ცივისსხლიანად მოკლა სამი ადამიანი! ცხედრებით შემოფარგლულს გარკვეული დრო დაჭირდა, რომ გონს მოსულიყო. ოჰანუზა აპათიის მდგომარეობაში ჩავარდა, მან ზუსტად არც კი იცის, გახდება თუ არა აზნაური და ბედ-იღბალზე დამოკიდებულს უწევს ამგვარი რთული და დაუნდობელი გზის გამოვლა.

როგორც იქნა, გონს მოეგო, აიღო სკიმიტარი, დამბაჩა, ქარავანს შეხსნა ცხენი და დააგდა გზას თბილისისკენ.

გზა ამჯერად მშვიდობიანი იყო. გაჩერდა ქალაქ თაბრიზში. დამბაჩა, რომელიც ყაჩაღებს წაართვა, ღირებული აღმოჩნდა და იქაურმა მეჯინებმა კარგ ცხენში გაუცვალა. ამ გზის განმავლობაში, მას პირველად გაუღიმა ბედმა.

თაბრიზიდან მარტივად გადავიდა საქართველოს საზღვრებზე, გაჩერდა განჯაში, სადაც ცხენი გაყიდა.

ნაშოვნი ფულით ქარავნით ჩავიდა თბილისში, სადაც წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ როგორ ენახა მეფე.

პირველი რამდენიმე თვე თბილისში იგი ჩვეულებრივ მოვაჭრედ მუშაობდა. ვერაფრით მოხვდა სამეფო კარზე და გარკვეულწილად იმის იმედი დაკარგული ჰქონდა, რომ ოდესმე აზნაური გახდებოდა..

ერთხელ, მეფის ერთ-ერთი მოხელე ქუჩაში სეირნობდა, როდესაც მას თავს ყაჩაღი დაესხა. ოჰანუზამ გადაარჩინა მეფის კაცი, მოხელემ ჰკითხა, თუ რა ერქვა მას, როდესაც მან გაიგო მისი გვარი, არ დაუჯერა გაგონილს. ოჰანუზამ ანახა მამის ანდერძი და უთხრა, რომ სიცოცხლის ბილომდე უერთგულებდა თავის ქვეყანას.

მეორე დღეს ოჰანუზას წერილი მოუვიდა მეფისგან, იგი მას სამეფო კარზე იბარებდა!

ერეკლე მეფემ უთხრა, რომ ამბროსიანები საქართველოს ერთგულები იყვნენ და დარწმუნებულია, რომ ოჰანუზა, რომელმაც მეფის კაცი სიკვდილს გადაარჩინა ასევე ერთგული ამბროსიანი იქნება, იგი კანონით იმსახურებს იყოს აზნაური!

დადგა ის ნანატრი დღე, როდესაც ოჰანუზა ამბროსიანი სამეფო კარზე გამოცხადდა. ერეკლე მეფემ უბოძა ნანატრი აზრნაურობის წოდება, მოახსენა, თუ რაოდენ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი თანამდებობაა და რომ მისი წინაპრები უნდა ასახელოს ახალგაზრდა ოჰანუზამ საამაყო საქმით!

ამ ამბიდან ნათლად ჩანს, რომ ერეკლე მეორე სამართლიანი მეფე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოჰანუზა ქართველი არ იყო, მეფემ იგი არ შეარჩია ეროვნული ნიშნით, მისთვის მთავარი იყო ადამიანის ერთგულება, რომელიც ოჰანუზას ნამდვილად გააჩნდა

ავტორი:გიორგი მაჭარაშვილი, სკოლა:63-ე საჯარო სკოლა. ასაკი: 16 წელი, კლასი: მე-11

ქალაქი: თბილისი